ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/136 CPV 33600000

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 7 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად"), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბიოლენდი“, (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის ლევან შეროზიას სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორის, ლ. სანოძის წერილი კანცელარიის #2929 02.12.2016წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული ფარმაცევტული პროდუქტები.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და დასრულდება 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს თსსუ-ს აპ.ურუშაძის სტომატოლოგიურ კლინიკაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #126.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3945 (სამიათასცხრაასორმოცდახუთი) ლარს.

2.4. საქონლის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.

2.5. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.6. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის მოწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.1.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.1.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

5.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

5.2.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, სახელშეკრულებო ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი ლ. სანოძე.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს. ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების შესახებ ერთ-ერთი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს 1 დღით ადრე.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო	შპს „ბიოლენდი“
უნივერსიტეტი	ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.№140
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ..№33	საიდენტიფიკაციო ნომერი 204568146
საიდენტიფიკაციო კოდი 211328703	სს „საქართველოს ბანკი“, კოდი BAGAGE22
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	ა/ა GE38BC000 0000 333461 100
ა/ა GE24NB 0330100200165022	
თსსუ-ს კანცლერი	**შპს „ბიოლენდი“-ს დირექტორი**
ზურაბ ორჯონიკიძე	**ლევან შეროზია**
_____	_____

დანართი

№	ჩამონათვალი	ზუსტი მახასიათებელი	გაზომილება	სულ რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ფასი(ლარი)
1	დაბინძურებული თერმომგრძნობიარე და თერმოსტაბილური ინსტრუმენტების სარეცხი და სადეზინფექციო კონცენტრატი (ალდეჰიდებისაგან თავისუფალი) ანიოზიმ DD1	მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს იმ რაოდენობის კონცენტრატის მოწოდება, საიდანაც შესაძლებელი იქნება 1000 ლიტრი სამუშაო ხსნარის დამზადება, მახასიათებლებით: ერთეტაპიანი სადეზინფექციო და გამწმენდი სამუალება სამედიცინო (მბრუნავი, სხვადასხვა მოდიფიკაციისა და ზომის ნაკეთობების) ხელსაწყო–იარაღების გაწმენდისა და წინასასტერილიზაციო დამუშავებისათვის. ექსპოზიციის დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს En ნორმებს.	5 ლიტრიანი ქილა	5	300	1500
2	თერმომგრძნობიარე და თერმოსტაბილური ინსტრუმენტების მაღალი დონის დეზინფექციის ცივი სტერილიზაციის კონცენტრატი ანიოსეფტ აქტივი	მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს იმ რაოდენობის კონცენტრატის მოწოდება, საიდანაც შესაძლებელი იქნება 1000 ლიტრი სამუშაო ხსნარის დამზადება, მახასიათებლებით: კონცენტრატი არ უნდა შეიცავდეს გლუტარალდეჰიდს, ანტიკოროზიული, ანტიმიკრობული აქტივობის მაღალი სპექტრის ყველა სახის პათოლოგიური მიკრობის (მათ შორის Mikobactetium tuberkulosis) ბაქტერიის ვირუსის სპორების ცივი (ქიმიური) სტერილიზაციისთვის 0,5% სამუშაო ხსნარით. ექსპოზიციის დრო არ უნდა აღემატებოდეს 90 წუთს. შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს En ნორმებს.	5 კგ. ქილა	1	500	500
3	სწრაფი დეზინფექტანტი საშხურებლით. წმენდა დეზინფექციისათვის (ქაფი) სურფასეიფი	სწრაფი დეზინფექტანტი სასხურებლით, სამედიცინო მოწყობილობებისათვის, ზედაპირებისათვის, ნებისმიერი მასალისაგან სტომატოლოგიური დანიშნულების საგნებისა და ზედაპირების გაწმენდა–დეზინფექციისათვის. ალდეჰიდო აქტივობის მაღალი სპექტრი ყველა სახის პათოლოგიურ მიკრობზე ბაქტერიის, მიკრობაქტერიის (მათ შორის Mikobactetium tuberkulosis)სოკოებსა და ვირუსებზე ზემოქმედებისათვის. ზემოქმედების დრო არაუმეტეს 5 წუთისა. შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს En ნორმებს.	750 მლ. ქილა	10	35	350
4	საკონტროლო ტესტ–ჩხირი	ცივი სტერილიზაციის ხსნარის აქტივობის გასაკონტროლებლად	ცალი	50	1,2	60
5	ხელის ჰიგიენური და ქირურგიული დეზინფექტანტი ანიოსგელი 85	*ხელების სწრაფი დეზინფექციისათვის მაღალი ანტიმიკრობული აქტივობის, აღკოჰოლის შემცველი, PH 6,5-7,5*	1 ლიტრიანი ქილა	20	26	520
6	ხელის ანტიბაქტერიული საპონი სავონ დუ	ხელების ჰიგიენური დამუშავებისათვის. ანტიბაქრტერიული.	1 ლიტრიანი ქილა	10	16	160
7	ზედაპირების სარეცხი და სადეზინფექციო საშუალება სურფანიოს სიტრონი	მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონცენტრატის მოწოდება, საიდანაც შესაძლებელი იქნება 6000 ლიტრ სამუშაო ხსნარის დამზადება. მახასიათებლებით: რეცხვა და დეზინფექცია ერთ ეტაპად. მაქსიმალურად ხანმოკლე ექსპოზიცია დეზინფიცირებისათვის. ანტიმიკრობული აქტივობის მაღალი სპექტრი	5 ლიტრიანი ქილა	3	285	855
						3945

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორკონიკიძე

შპს „ბიოლენდი“–ს დირექტორი
ლევან შეროზია